



# E - GOVERNMENT . GE

## ს ა ი ნ ფ ო რ მ ა ც ი ო ფ უ რ ც ე ლ ი

გამოშვება #17

აგვისტო, 2012

### გამოშვებაში წაიკითხავთ

- CERT.GOV.GE** 1  
საერთაშორისო კავშირებს აღრმავებს
- DATA.GOV.GE** - 2  
ახალი პროექტი
- შსს აკადემიასა და მონაცემთა გაცვლის სააგენტოს შორის თანამშრომლობის მემორანდუმში გაფორმდა 2
- ბათუმის ტექნოლოგიური უნივერსიტეტი 15 სექტემბერს გაიხსნება 2
- მომავლის საჯარო სერვისები და თანამედროვე გადაწყვეტილებები 3
- CERT.GOV.GE** 3  
ფეისბუქის გვერდი ამოქმედდა

### CERT.GOV.GE საერთაშორისო კავშირებს აღრმავებს



საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მონაცემთა გაცვლის სააგენტოს ინფორმაციული უსაფრთხოებისა და პოლიტიკის სამართველოს თანამშრომლები 2012 წლის 26 აგვისტოდან 1 სექტემბრის ჩათვლით ევროკომისიის ტექნიკური დახმარებისა და ინფორმაციის გაცვლის პროგრამის TAIEX-ის დაფინანსებით იმყოფებოდნენ პოლონეთში, ქ. ვარშავაში.

ვიზიტის დროს სააგენტოს წარმომადგენლები გაეცნენ პოლონური CERT-ების მუშაობის სპეციფიკასა და გამოცდილებას. გაიმართა

შეხვედრები პოლონურ სახელმწიფო და სამხედრო CERT-ებში - CERT.GOV.PL და CERT.MIL.PL. ასევე ორგანიზაცია NASK-ის (ერთ-ერთი პოლონური ინტერნეტ პროვაიდერი) დაქვემდებარებაში მომუშავე CERT Polska-ს წარმომადგენლებთანაც.

შეხვედრების დროს მონაცემთა გაცვლის სააგენტოს თანამშრომლები გაეცნენ პოლონური CERT-ების მიერ შემუშავებულ უსაფრთხოების პროდუქტებს, დაინფიცირებული ვებსაიტების აღმოსაჩენ სისტემებს და მანვე ტრაფიკის კონტროლის მექანიზმებს.

„პოლონეთში ვიზიტი CERT.GOV.GE გუნდისთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო. ჩვენ მუმიდვიად ვცდილობთ მივყვეთ დასავლეთის ქვეყნებში იფორმაციულ უსაფრთხოებასთან დაკავშირებული სისტემების განვითარებას, ვიცოდეთ მათი უპირატესობები და შესაძლებლობები, რათა წარმატებით გადმოვიტანოთ მათი გამოცდილება საქართველოში.“ - **ირაკლი ლომიძე**, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მონაცემთა გაცვლის სააგენტოს ინფორმაციული უსაფრთხოებისა და პოლიტიკის სამმართველოს უფროსი.



www.justice.gov.ge



www.house.gov.ge



სახელმწიფო სერვისების ელექტრონული პორტალი

www.my.gov.ge



საქართველოს მონაცემთა გაცვლის სააგენტო

www.cra.gov.ge



www.napr.gov.ge



www.archives.gov.ge



www.nbe.gov.ge



www.notary.ge



საქართველოს საკანონმდებლო მაცნე

www.matse.gov.ge

www.eAuction.ge  
ელექტრონული აუქციონი

www.eauction.ge



www.tbilisi.gov.ge

## DATA.GOV.GE - საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ანალიტიკური დეპარტამენტის ახალი პროექტი

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მონაცემთა გაცვლის სააგენტომ ამავე სამინისტროს ანალიტიკური დეპარტამენტისთვის ახალი პროექტის Data.gov.ge შექმნაზე დაიწყო მუშაობა. Data.gov.ge წარმოადგენს ვებგვერდს, რომელზეც განთავსდება სხვადასხვა საჯარო უწყებების მიერ გავრცელებული ინფორმაცია. დღემდე ასეთი ინფორმაცია ყველა საჯარო უწყებას საკუთარ ვებგვერდზე ჰქონდა განთავსებული, Data.gov.ge კი ერთ სივრცეში გააერთიანებს სხვადასხვა კატეგორიის ინფორმაციას, თემატურად დაახარისხებს მას და მომხმარებლისთვის გააადვილებს მისთვის საჭირო ინფორმაციის მოძიების პროცესს.

ამავე ვებგვერდზე მომხმარებელს შეეძლება საჯარო ინფორმაციის ელექტრონულად გამოთხოვა. მისთვის არ იქნება საჭირო იცოდეს, რომელი უწყებიდან ითხოვს ინფორმაციას. საკმარისია მხოლოდ გამსათხოვი ინფორმაციის დანიშნულების ცოდნა.

„Data.gov.ge კიდევ ერთი წინგადადგმული ნაბიჯი იქნება მოქალაქესა და სახელმწიფოს შორის ურთიერთობის გამარტივების პროცესში. თუ დღემდე სხვადასხვა საჯარო უწყებების ინფორმაცია გაბნეულად იყო წარმოდგენილი, Data.gov.ge ამ ინფორმაციას ერთ სივრცეში მოუყრის თავს, კატეგორიების მიხედვით დაახარისხებს მას და მომხმარებელს გაუმარტივებს მისთვის საჭირო ინფორმაციის მოძიების პროცესს.“ - **ოთარ კახიძე**, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ანალიტიკური დეპარტამენტის უფროსი.

## შსს აკადემიასა და მონაცემთა გაცვლის სააგენტოს შორის თანამშრომლობის მემორანდუმში გაფორმდა



2012 წლის 16 აგვისტოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიასა და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედ სსიპ მონაცემთა გაცვლის სააგენტოს შორის თანამშრომლობის მემორანდუმში გაფორმდა. მხარეები მემორანდუმის ფარგლებში ითანამშრომლებენ კიბერდანაშაულის და კიბერუსაფრთხოების სწავლებისა და ტრენინგების საკითხებში. შსს აკადემია სამომავლოდ პოლიციელთა საბაზისო კურსების მომზადების პროგრამაში კიბერდანაშაულის როგორც თეორიული ისე პრაქტიკული საკითხების დამატებას გეგმავს.

„მოახარულნი ვართ, რომ ჩვენსა და პოლიციის აკადემიას შორის მემორანდუმში გაფორმდა. ჩვენ მზად ვართ ჩვენი ცოდნა და გამოცდილება გავუზიაროთ შსს

აკადემიის მსმენელებს და მონაწილეობა მივიღოთ მათთვის კიბერდანაშაულის შესახებ სპეციალური პროგრამის მომზადებაში.“ - **ირაკლი გვენეტაძე**, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მონაცემთა გაცვლის სააგენტოს თავმჯდომარე.

## ბათუმის ტექნოლოგიური უნივერსიტეტი 15 სექტემბერს გაიხსნება



ბათუმის ტექნოლოგიური უნივერსიტეტი, რომლის მშენებლობაც ერთი წლის წინ დაიწყო, 15 სექტემბერს საზეიმოდ გაიხსნება. თანამედროვე არქიტექტურულ ნაგებობაში განთავსებული უნივერსიტეტი სპეციალურად შერჩეული ამერიკული და ქართული უნივერსიტეტის ბაზაზე დაიწყებს ფუნქციონირებას.

ბათუმის ტექნოლოგიური უნივერსიტეტის ძირითადი მიმართულებები იქნება ტექნოლოგიური, საინფორმაციო და საინჟინრო დისციპლინები. უნივერსიტეტი აღჭურვილი იქნება ამერიკული სტანდარტების შესაბამისი სათანადო ტექნოლოგიებითა და ინფრასტრუქტურით. სამომავლოდ უნივერსიტეტი გასცემს ბაკალავრის, მაგისტრის და, შესაძლოა, დოქტორის ხარისხს აღნიშნულ, პრიორიტეტულად გამოცხადებული მიმართულებების განხრით.

### მომავლის საჯარო სერვისები და თანამედროვე გადაწყვეტილებები



25-26 სექტემბერს, თბილისში სასტუმროში Radisson Blue Iveria გაიმართება მეორე ყოველწლიური საერთაშორისო კონფერენცია, რომელიც ეძღვნება საჯარო სერვისების მიწოდების პროცესში ინოვაციების გამოყენებას.

კონფერენციის მიზანია გააცნოს საჯარო მოხელეებსა და საერთაშორისო პარტნიორებს საქართველოს წარმატებული პროექტები საჯარო სერვისების მიწოდების სფეროში. კონფერენცია ორგანიზებულია საქართველოს მთავრობისა და დონორი ორგანიზაციების მიერ. პირველი კონფერენცია ამავე თემაზე 2011 წლის სექტემბერში ბათუმში გაიმართა და შესაძლებლობა შექმნა სხვადასხვა ქვეყნების წარმომადგენლებს შორის იდეებისა და ინფორმაციის გაცვლისთვის. ამავე კონფერენციაზე განხილულ იქნა სისტემური კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის პროცესში გამოყენებული პროგრესული მეთოდები, რომელთა შორის მნიშვნელოვანია საჯარო სერვისების მიწოდებისას თანამედროვე ტექნოლოგიური გადაწყვეტილებების გამოყენება.

რიგით მეორე კონფერენციის მიზანია თავი მოუყაროს საქართველოს მთავრობის წარმომადგენლებსა და მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოუსლ პროფესიონალებს, რომლებიც საჯარო სერვისების მიწოდების პროცესში ინოვაციური მეთოდების გამოყენებაზე მუშაობენ.

რიგით მეორე საერთაშორისო კონფერენციაზე განხილულ იქნება განვლილი წლის მანძილზე მიღწეული შედეგები და წარმატებული პროექტები.

### CERT.GOV.GE-ს ფეისბუქ საიტი ამოქმედდა



საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მონაცემთა გაცვლის სააგენტომ კომპიუტერულ ინციდენტებზე სწრაფი რეაგირების ჯგუფის CERT.GOV.GE-ს ფეისბუქ გვერდი ამოქმედდა. დღეიდან აღნიშნულ გვერდზე რეგულარულად გამოქვეყნდება ინფორმაციულ უსაფრთხოებასთან, კიბერ ინციდენტებთან, დაინფიცირებულ საიტებთან, კიბერ შეტევებთან და სხვა მსგავს თემებთან დაკავშირებული ინფორმაცია. მომხმარებელი ასევე გაეცნობა საინტერესო სტატებს ინფორმაციული უსაფრთხოების ნორმების თემატიკაზე, თუ როგორ უნდა დავიცვათ თავი სხვადასხვა საფრთხეებისგან კომპიუტერულ ტექნოლოგიებთან ყოველდღიური ურთიერთობების დროს.

“ვინაიდან ფეისბუქი წარმოადგენს მომხმარებელთან ინტერაქციის ერთ-ერთ საუკეთესო საშუალებას, გადავწყვიტეთ შეგვექმნა CERT.GOV.GE-ს ოფიციალური გვერდი. ეს ჯერ მხოლოდ დასაწყისია და ეტაპობრივად ჩვენს ვიზიტორებს შევთავაზებთ სხვადასხვა საინტერესო ინფორმაციებს გატეხილი და სახიფათო საიტების, გავრცელებული ვირუსების შესახებ. ასევე მივაწვდით ინფორმაციას მსოფლიოსა და საქართველოში კიბერ საფრთხეების სტატისტიკასთან დაკავშირებით. აქვე იქნება არაერთი სასარგებლო სტატია ინფორმაციული უსაფრთხოების იმ ელემენტარული ნორმების შესახებ, რომელთა დაცვა თითოეული ჩვენგანისთვის კომპიუტერთან თუ მობილურ მოწყობილობასთან ურთიერთობისას მეტად მნიშვნელოვანია.” - ირაკლი გვენეტაძე, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მონაცემთა გაცვლის სააგენტოს თავმჯდომარე.

იბილეთ ჩვენი საიტები  
[www.dea.gov.ge](http://www.dea.gov.ge); [www.my.gov.ge](http://www.my.gov.ge);  
[www.e-government.ge](http://www.e-government.ge)

მონაცემთა გაცვლის  
სააგენტო

წმ. ნიკოლოზის/ნ. ჩხეიძის ქ. 2  
თბილისი 0102, საქართველო  
ტელეფონი: (+ 995 32) 291 51 40  
ელ.ფოსტა: [info@dea.gov.ge](mailto:info@dea.gov.ge)

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო

მონაცემთა გაცვლის  
სააგენტო



თუ ხართ ახალი მომხმარებელი ან კვლავ გასურთ საინფორმაციო ფურცლის გამოწერა, გთხოვთ გამოაგზავნოთ ელექტრონული შეტყობინება მისამართზე: [info@dea.gov.ge](mailto:info@dea.gov.ge) და სათაურში მიუთითოთ “Subscribe” ან დაარეგისტრირდეთ თქვენი ელექტრონული ფოსტის მისამართი ვებ გვერდზე: [www.e-government.ge](http://www.e-government.ge)

თუ არ გასურთ, მონაცემთა გაცვლის სააგენტოს საინფორმაციო ბიულეტენის მიღება, გთხოვთ გამოაგზავნოთ ელექტრონული შეტყობინება მისამართზე: [info@dea.gov.ge](mailto:info@dea.gov.ge) და სათაურში მიუთითოთ “Unsubscribe”.